

კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში დე ფაქტო კონტროლის
განხორციელების საკანონმდებლო და სახელმწიფო საფუძვლები

ქეთევან გორგასლიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

კერძო ბიზნეს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის

მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამეწარმეო სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2021

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი აკადემიური ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებული ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან გორგასლიძე

21 ივნისი 2021 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია განიხილოს კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში დე ფაქტო კონტროლის განხორციელების სახელშეკრულებო და საკანონმდებლო საფუძვლები, და ამ უკანასკნელთა პასუხისმგებლობის საკითხი. აგრეთვე, წარმოაჩინოს კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში დე ფაქტო კონტროლიდან გამომდინარე კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები.

აღსანიშნავია, რომ საკვლევ თემასთან დაკავშირებით არ არსებობს საკანონმდებლო რეგულაციები, შესაბამისად ძალიან მწირია იურიდიული ლიტერატურა, სასამართლო გადაწყვეტილებები, თუ სხვა სამართლებრივი წყაროები. ამიტომაც საკვლევ პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზები წარმოდგენილია სხვადასხვა ქართული სამართლებრივი ინსტიტუტებისა, სხვა ქვეყნების გამოცდილების ურთიერთშეჯერების საფუძველზე. კვლევის ფარგლებში განხილულია როგორც მიმდინარე კანონმდებლობა, აგრეთვე მოსალოდნელი ცვლილებებიც.

კვლევამ აჩვენა, რომ დე ფაქტო კონტროლის განმახორციელებელი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი სუბიექტი, ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელსაც პირდაპირ, ან/და ირიბად აქვს შესაძლებლობა კვალიფიციური კონტროლი განახორციელოს კორპორაციაზე. დე ფაქტო მაკონტროლებლის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული რეგულაციების არ არსებობის გამო, აღნიშნული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად შესაძლებელია ანალოგიის გზით გამოყენებული იქნეს პარტნიორისა და ხელმძღვანელი ორგანოების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ნორმები. თუმცა ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია რეკომენდაციები, თუ როგორ შეიძლება მოწესრიგდეს დე ფაქტო კონტროლთან დაკავშირებული საკითხები.

სამიუბო სიტყვები: დე ფაქტო კონტროლი, დე ფაქტო დირექტორი, დე ფაქტო აქციონერი, ჩრდილოვანი დირექტორი, დე იურე დირექტორი, გამჭოლი პასუხისმგებლობა, ფიდუციური მოვალეობა.

Abstract

The purpose of this paper is to discuss the contractual and legislative bases for the exercise of de facto control in an equity basis company, and the matter of responsibility of such company. Also, to point out the gaps in the legislation due to de facto control in an equity basis company.

It should be noted that there are no legal regulations related to the research topic, therefore the available legal literature, court decisions, or other legal sources are very scarce. Therefore, the optimal ways to solve the research problem are presented on the basis of different experiences of various Georgian legal institutions, the experience of other countries. The paper discusses both current legislation and expected changes.

The research has shown that de facto control can be exercised by any entity, natural or legal person, which has the direct and/or indirect ability to exercise qualified control over a corporation. Due to the lack of regulations on the liability of the de facto controller, the norms related to the liability of the partner and the governing bodies can be used by analogy to regulate this relationship. However, the concluding section of the paper presents recommendations as to how de facto control issues can be addressed.

Search terms: de facto control, de facto director, de facto shareholder, shadow director, de jure director, pass-through liability, fiduciary duty.